



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
BODY



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N11

ქ. მარნეული

29.06.2017 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**საკრებულოს წევრები:** - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, კოტე ბოჭორძე, ირაკლი ბურნაძე, ვალი ისმაილოვი, არსენ ახვერდიანი, მამედ მამედოვი, ელხან მუფტიევი, მაილ მიქიევი, სადრადინ ტალიბოვი, რაფიკ მუსაევი, ისმაილ ბაირამოვი, აბიდ ოსმანოვი, რამიზ გიულმამედოვი, ლევონ აკოპიანი, ჯომგუნ ზეინალოვი, სულეიმან ხალილოვი.

**არ ესწრებოდა:**

- ვანო ბურნაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, რიჩარდ გიგანი, გიორგი შუკაკიძე, ლერი მუმლაძე, ქამილ ალიევი, ზურაბ ჭონიაშვილი, გივი ქველაძე, რაგიმ ასკეროვი, რუსტამ ფაშაევი, ბესიკ გუჯეჯიანი, აიდა ხაჩიკიანი, მახირ იუსუბოვი, აგილ ფაშაევი, რაფიკ ჯაფაროვი.

**სხდომას ესწრებოდა**

- მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე **ზაურ ტაბატაძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო – საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ნინო ბერიძე**, საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **რუსუდან გადელია**, გაზეთ „ოზანი“-ს რედაქტორი **კამილ მუსაევი**.

**პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები:** „TV-მარნეული“-ს წარმომადგენლები.

**განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:**

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 16 ივნისის N03/7055 წერილის განხილვის შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის 2017 წლის სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

## განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N22. 29.06.2017 წ)

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 16 ივნისის N03/7055 წერილით შემოსული დოკუმენტაცია და ითხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, მარნეულის მუნიციპალიტეტის 4 სარიტუალო სახლი (თამარისი, წერეთელი, ახკერპი, საიმერლო) შემდგომი ექსპლოატაციისათვის გადასცეს მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა.ა.ი.პ. „სუფთა მარნეული“-ს.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N52. 29.06.2017 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა ნინო ბერიძემ საკრებულოს წევრებს, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ბ.ვ.) ქვეპუნქტის საფუძველზე, 2017 წლის 1 ივლისიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით, დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალი საშტატო ნუსხა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N53. 29.06.2017 წ).

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მეთერთმეტე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაბი აბდულაევი